თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5705410

ნომერი: AR1864445

თარიღი : 26.11.2021

გაცემის თარიღი : 30.11.2021

გაცნობის თარიღი : 30.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პირველი სამგორის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილზე გამოსასვლელი გზის გადაკვეთის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგ ედილაშვილი პ/ნ 01020010070
- ქ.თბილისი, ოთარ ლორთქიფანიძის 32, ბინა #31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ასევე, წარმოსადგენია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

2. "საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი" - საინფორმაციო ბანერზე მშენებლობის სახეობა არასწორად გაქვთ მითითებული, უნდა იყოს არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია

3. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობები წყალმომარაგების მილი (ს/კ 01.01.834; მესაკუთრე: შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"), წყალარინების მილი (ს/კ 01.01.773; მესაკუთრე: შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი") და ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება ძირითადი წყალმომარაგების ქსელის შეზღუდვა, საჭიროა წარმოადგინოთ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა საკომუნიკაციო ქსელი და ინტერნეტი (ს/კ 01.00.697; მესაკუთრე: შპს "მაგთიკომი"), საჭიროა წარმოადგინოთ შპს "მაგთიკომი"-ს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით

4. ტოპოგრაფიულ გეგმაზე ხელმოწერა არ მიიღება სკანირებული (ფაქსიმილე) სახით. თქვენს შემთხვევაში ხელმოწერა არ არის მისაღები, გაასწორეთ აღნიშნული და წარმოადგინეთ ტოპოგრაფიული გეგმა რეალური ხელმოწერით.

სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (განაცხადის ნომერი 60-0121334519), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ კვლევის დასრულების შემდგომ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.